

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს ნუგა დეველოპმენტ გე

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა
4. ძირითადი საშუალებები
5. დებიტორული დავალიანება
6. ფული და ფულის ექვივალენტები
7. საკუთარი კაპიტალი
8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი
9. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება
11. ხელფასის ხარჯი
12. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები
13. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან
14. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	162,279	134,653
სულ გრძელვადიანი აქტივები		162,279	134,653
გაცემული ავანსები			
დებიტორული დავალიანება	5	994,688	1,423,653
ფული და ფულის ექვივალენტები	6	873,863	6,914,247
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,868,551	8,340,749
სულ აქტივები		2,030,830	8,475,402
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	7	15,000	15,000
გაუნაწილებელი მოგება		1,497,041	7,849,543
სულ კაპიტალი		1,512,041	7,864,543
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიღებული ავანსები			
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები		24,689	47,625
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	8	490,772	545,277
საგადასახადო ვალდებულებები		3,328	17,957
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		518,789	610,859
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,030,830	8,475,402

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს ნუგა დეველოფმენტ გე-ს სახელით 2025 წლის 18 სექტემბერი



შპს “ნუგა დეველოფმენტ გე”-ს დირექტორი გალინა ივაშკა

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	შენიშვნა	2024	2023
	ა		
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	9	2,229,894	9,128,723
რეალიზებული მომსახურების			
თვითღირებულება	10	(5,492,256)	(4,389,473)
საერთო მოგება		(3,262,362)	4,739,250
სხვა საოპერაციო ხარჯები			
ხელფასის ხარჯი	11	(1,416,746)	(819,665)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	12	(1,639,546)	(601,013)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	4	(32,693)	(13,758)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		(3,088,985)	(1,434,436)
არასაოპერაციო შემოსავალი			
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება		399,701	-
სულ არასაოპერაციო შემოსავალი		399,701	-
არასაოპერაციო ხარჯი			
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(400,856)	(218,878)
სხვა არასაოპერაციო ზარალი		-	-
სულ არასაოპერაციო ხარჯი		(400,856)	(218,878)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(6,352,502)	3,085,936
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება (ზარალი)		(6,352,502)	3,085,936

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	განთავსებულ ი კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2023	7,350	4,763,607	4,770,957
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	-	-
განთავსებული კაპიტალი ზრდა	7,650	-	7,650
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	3,085,936	3,085,936
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	15,000	7,849,543	7,864,543
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	-	-
განთავსებული კაპიტალი ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(6,352,502)	(6,352,502)
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	15,000	1,497,041	1,512,041

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნუგა დეველოპმენტ გე“ რეგისტრირებულია 2022 წლის 11 მარტს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N34, კომერციული ფართი N ა-3 (მშენებარე), სადარბაზო 1, სართული 1, ბლოკი I. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 441487909. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

შპს ნუგა დეველოპმენტ, 193344871 /ბელარუსი - 51%;

სერგეი ხილკევიჩი, 3040974A031PB3, PD0005288 /ბელარუსი - 49%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი. დაწესებულების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია გალინა ივანოვა, 4281265A046PB4, MP4547163 /ბელარუსი.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს, უცხო ვალუტის ნაშთების ლარში გადაყვანის მიზნით გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

31/12/2023 1 აშშ დოლარი= 2.6894 ლარი.

31/12/2023 1 ევრო= 2.9753 ლარი.

31/12/2024 1 აშშ დოლარი= 2.8068 ლარი.

31/12/2024 1 ევრო= 2.9306 ლარი.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

გადასახადები

შპს „ნუგა დეველოფმენტ გე“ ფლობს „საერთაშორისო კომპანიის“ სტატუსს, რომელიც საგადასახადო სტატუსია და კომპანიას აძლევს საშუალებას, რომ მიიღოს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები. კერძოდ, კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი დაიბეგრება 5%-ით ნაცვლად 20%-სა. ასევე მოგების გადასახადი განისაზღვრება 5%-ით ნაცვლად 15%-სა.

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. 2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ პირებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება

ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირების, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებათა დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გავლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ოფისის, კომუნალურ, იჯარის და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ძირითადი საშუალებები

2023 წლისთვის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 01 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	37,114	112,897	150,011
სულ	37,114	112,897	150,011

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 01 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	1,600	13,758	15,358

სულ	1,600	13,758	15,358
-----	-------	--------	--------

2024 წლისთვის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 01 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	150,011	60,319	210,330
სულ	150,011	60,319	210,330

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 01 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	15,358	32,693	48,051
სულ	15,358	32,693	48,051

5. დებიტორული დავალიანება

2024 წლის ბოლოს კომპანიას ყავდა სულ სამი დებიტორი, მ.შ 577 885 ლარი იყო მის ძირითად დებიტორზე. 2023 წლის ბოლოს კომპანიას ყავდა მხოლოდ 1 დებიტორი - ორგანიზაცია, რომელსაც კომპანია უწევდა პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის მომსახურებას.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ეროვნულ ვალუტაში განთავსებული	1,410	1,594
უცხოურ ვალუტაში განთავსებული	872,453	6,912,653
სულ	873,863	6,914,247

7. საკუთარი კაპიტალი

(ა) განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის განთავსებული კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 15 000 ლარს.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში.

8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი

გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირების, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელების, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც კომპანიას გადასახდელი ჰქონდა 2024 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მისი ძირითადი საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავალი (პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი) 2024 წელს კომპანიის მიერ მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 229 894 ლარი, ხოლო 2023 წელს 9 128 723 ლარი.

10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში ასახულია დაწესებულების მიერ პროექტების ფარგლებში დაქირავებული თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი.

საკუთარი მომსახურების გაწევისას, რიგ შემთხვევებში, შპს „ნუგა დეველოფმენტ გე“ სარგებლობს მესამე მხარეების მომსახურებით. აღნიშნული მომსახურების დანახარჯებიც ასევე ასახულია რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში.

ამ დანახარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	2024 წელი	2023 წელი
პირდაპირი ხელფასის და სხვა სარგებლის ხარჯი	5,031,781	3,679,982
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	460,475	709,491
სულ	5,492,256	4,389,473

11. ხელფასის ხარჯი

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024 წელი	2023 წელი
არაპირდაპირი ხელფასის ხარჯი	1,406,765	816,722
სხვა სარგებელი	9,981	2,943
სულ	1,416,746	819,665

12. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, საკონსულტაციო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024 წელი	2023 წელი
IT-ის მომსახურების ხარჯი	978,129	217,386
საკონსულტაციო ხარჯი	93,149	175,330
პროგრამების გამოწერის ხარჯი	521,569	168,957
იჯარის ხარჯი	27,133	26,422
მივლინების ხარჯი	9,216	2,769
საბანკო ხარჯი	8,915	6,750
სხვა ხარჯი	1,435	3,399
სულ	1,639,546	601,013

13.ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

მენეჯმენტის კომპენსაცია:

2024 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 1 166 201 ლარი, ხოლო 2023 წელს 796 479 ლარი.

14.საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

2025 წლის 24 იანვრიდან კომპანიის 100 % მესაკუთრე გახდა:

- სერგეი ხილკევიჩი, 3040974A031PB3, PD0005288 /ბელარუსი/.

კომპანიას არ ჰქონია სხვა მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდნენ გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.